ბატონი გიორგი (გია) შაიშმელაშვილი- არქიტექტურის დოქტორი. პროფესორი,1989-1992 წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქალაქგეგმარების კათედრის გამგე, სახელმწიფო ჯილდოს - "ღირსების ორდენის" კავალერი; არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ურბანული დაგეგმარების (ურბანისტიკის) მიმართულების ხელმძღვანელი 2006 წლიდან დღემდე.

**- Mr. Giorgi Shaishmelashvili - Doctor of Architecture, professor, Headmaster of the Institute of Architecture, Urban Planning and Design of Georgian Technical University in 1989-1992; holder of the Georgian Order of Honor; Director of Urban Planning Department at the Institute of Architecture, Urban Planning and Design of Georgian Technical University since 2006.**

არქიტექტურის საერთაშორისო ფესტივალის, ჟურნალი "სტილის" და ქართველი არქიტექტორების მრავალგზის მხარდაჭერისთვის, სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

At the end of award-passing ceremony, Association of Architects of Georgia and STYLE Magazine, passed special diplomas for long-term supporting of Georgian architects to.



კომპანია "კაპაროლის" დირექტორი,
ბატონი ბორის გამრეკელი

**Boris Gamrekeli, director of "Caparol"**



კომპანია "ახალი ნათების" დამფუძნებელი,
ბატონი ზურაბ გაბინაშვილი

**Zurab Gabinashvili, Founder of "New Light"**



კომპანია "ინსტას" დირექტორი,
ბატონი გიორგი ბახსოლიანი

**George Bakhsoliani, director of "Insta"**



# ავტორიტარიზმის არქიტექტურული ანატომია

## ავტორიტარიზმის წლების არქიტექტურულ-ურბანული პროცესის უნიკალურობა

ვახტანგ დავითაია

**გაგრძელება**
**დასაწყისი იხ. "სტილი" №50**

არქიტექტურა, ექსპრეზიდენტის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი იყო. ეს „ყურადღება“ მნიშვნელოვნად სცილდებოდა “დამკვეთისა“ და „შემსრულებლის“ /არქიტექტორის/ ტრადიციულ ურთიერთობას, რაც შემოქმედებით საქმიანობაში „დამკვეთის“ უპრეცენდენტო ჩარევაში გამოიხატა. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა რიყეზე და ბათუმში. ეს ორი არენა იყო ექსპრეზიდენტ სააკაშვილის არქიტექტურული „ძიებების“ ექსპერიმენტალური სივრცე. ავტორიტარიზმის ცხრაწლიანი პერიოდის არქიტეტურული პროცესის, ასევე მონუმენტების, ქანდაკებების და დეკორატიული კომპოზიციების დადგმის საკითხებში გარკვევა შეუძლებელია ისეთი ექსტრაორდინალური ფაქტორის გარეშე, როგორიც იყო „შემკვეთის“ - ექსპრეზიდენტ სააკაშვილის პიროვნება. მრავალრიცხოვანი მოგზაურობებიდან მიღებული არქიტექტურული შთაბეჭდილებები სხვადასხვა სახით, პრაქტიკულ გამოხატულობას პოულობდა მთლიანად ქართულ არქიტექტურაში. პრეზიდენტი იყო არა მხოლოდ დამკვეთი, არამედ შემფასებელიც, მიმღებიც, ხშირ შემთხვევაში არაოფიციალური თანაავტორიც. ამიტომაც ამა თუ იმ არქიტექტურულ-ურბანული ფაქტის შეფასებისას შეუძლებელია დაადგინო ვის რა წვლილი აქვს შედეგზე. ცხრაწლიანი პერიოდის არქიტეტურული „მოსავალი“ ისეთვე ეკლექტიკური, არაპროგნოზირებადი და იმპულსურია, როგორიც დამკვეთის პიროვნება.

უსამართლობა იქნება ვერ შევამჩნიოთ, რომ ეს წლები იყო სამშენებლო ბუმის წლები, მაგრამ სამწუხაროდ, რაოდენობა ვერ გადაიზარდა არქიტექტურულ-შემოქმედებით ხარისხში. შეიძლებოდა თუ არა დახარჯული მილიონებით იმავდროულად მიგვეღო არქიტექტურული ღირებულებები? რომელი შენობა ან სახვითი ხელოვნების ნაწარმოები შემორჩება ისტორიას? რომელი შენობით იამაყებს მომავალი თაობა?

დიდი ნაწარმოებები იქმნება დიდი ხელოვანის და დიდი დამკვეთის გონიერებით, მოთმინებით და თავდადებით. ესაა წარმატების მარადიული ფორმულა. სრულიად განსხვავებული იყო არქიტექტურული პროცესი ავტორიტარიზმის პერიოდში. მივმართავ მცირე ექსკურსს:


ფიდეასი, იკტინოსი, კალიკრატე
ქალწულ ათენას ტაძარი - პართენონი

- **პერიკლემ** (490-429 ძვ.წ.აღ) შესძლო გაეერთიანებინა ქვეყნის მატერიალური და შემოქმედებითი პოტენციალი, სამ გენიოსს – *ფიდეასს, იკტინოსს* და *კალიკრატეს* შეაქმნევინა ქალწულ ათენას ტაძარი – **პართენონი,** ასევე პროპილეი და ოდეონის თეატრი.
- სიდნეის მუნიციპალიტეტმა საერთაშორისო ღია კონკურსის პირობებში ერთნიშნად ჩამოაყალიბა ქვეყნის ამბიცია – **„ოპერის თეატრის შენობა** (არქიტექტურა) უნდა იყოს თანამედროვეობის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი შენობა, რომელიც ქალაქ სიდნეის ჩააყენებს დიდი არქიტექტურული დედაქალაქების რიცხვში“-ო. ასე დაიბადა XX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქიტეტურული ნაწარმოები – „სიდნეის ოპერა“. პროექტი შეირჩა საერთაშორისო კონკურსით,სადაც წარმოდგენილი იყო 223 პროექტი.


"სიდნეის ოპერა"


ოსკარ ნიმეიერი, ბრაზილია


ოსკარ ნიმეიერი, ბრაზილია

- პრეზიდენტმა **კუბიჩეკმა** აღასრულა ბრაზილიელი ხალხის მისწრაფება ახალი დედაქალაქის ქვეყნის სიღრმეში (ცენტრში) გადატანაზე და საფუძველი დაუდო ახალი დედაქალაქის – ბრაზილიის დაპროექტება-მშენებლობას. ამ საქმეს სათავეში ჩაუყენა ქვეყნის უთვალსაჩინოესი არქიტექტორი ***ოსკარ ნიმეიერი.***
- ***ჯავაჰარლალ ნერუმ* პენჯაბის** შტატის ახალი დედაქალაქის – **ჩანდიგარჰის** მშენებლობა გენიალურ *კორბუზიეს* მიანდო.
- მკაფიოდ იყო დასაბუთებული XX საუკუნის დიდი არქიტექტურული ნაწარმოებების **პომპიდუს ცენტრის** და **ქ. ბილბაოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის** მშენებლობის მიზანშეწონილობა. პომპიდუს ცენტრის მნახველთა რაოდენობამ პირველსავე წელს 7 მილიონს მიაღწია, რაც აჭარბებს ერთად აღებულ ეიფელის კოშკისა და ლუვრის ვიზიტორთა რაოდენობას. ეს უპირატესობა დღემდე გრძელდება. ბილბაოს მუზეუმის ეკონომიკური შედეგი ნავარაუდევზე სამჯერ უკეთესი აღმოჩნდა. მუზეუმმა პირველსავე წელს ნახევარი მილიონი მნახველი მიიზიდა, რაც 160 მილიონი დოლარით გამოიხატა. ეს წარმატებები განაპირობა არქიტექტორების *ფრენკ ო'გერის, რენძო პიანოს* და *რიჩარდ როჯერსის* გენიამ.

## მაგალითები საქართველოს პრაქტიკიდან ავტორიტარიზმის პერიოდში

„... მე და უგულავა ვიყავით ინსბრუკში, მოგვეწონა ერთ-ერთი შენობის მოოქროვილი გუმბათი, ავდექით და გადმოვიტანეთ აქ...“ „... სტამბოლის დისკოტეკა ძალიან მაგარია, მოგვეწონა მე და ლევანს, გადავწყვიტეთ აქ, ბათუმში გაგვეკეთებინა მსგავსი რამ...“ „... ეს მანტუზე მოვიპარეთ“. ნეპტუნის ფანტანი, რომელიც ბათუმის თეატრის წინ დგას, ასლია ქ. ბოლონიის ნეპტუნის ფანტანისა, რომელიც 1563-1533 წლებშია აგებული. „მოგვეწონა. იტალიაში დავამზადებინე და დავდგი აქ ბათუმში“. ექსპრეზიდენტს ასევე არ დაუმალავს არქიტეტორის შერჩევის საიდუმლოება. „იურგენ მეიერი შემთხვევით გავიცანი, მიუნხენის კონფერენციაზე ვიყავი და წიგნის მაღაზიაში შევედი, ყოველთვის ვნახულობ არქიტექტურულ წიგნებს და თვალს მომხვდა იურგენის არქიტექტურული წიგნი. „ეს მართლა არის მსოფლიოს ერთ-ერთ მოდური და მაგარი არქიტექტორი, ძალიან ავანგარდისტული. იქიდან ჩამოვედით, მერე შევხვდით და რაც მთავარია, რატომ მომწონს მასთან მუშაობა, ის აკეთებს ყველაფერს ძალიან ჩქარა და ჩვენ გვაქვს დრო ძალიან ცოტა... ამ კაცს ეჩქარება ჩვენსავით“ ასე აღმოაჩინა სააკაშვილმა „ძალიან ავანგარდისტული“ იურგენი, ჩამოიყვანა და ჩააბარა მესტია. დააპროექტებინა ვისოლისა და სოკარის მულტიფუნქციური ცენტრები ავტობანზე, სარფის საბაჟო ტერმინალი, „პრეზიდენტის ბიბლიოთეკა“ თბილისში, ასევე, რაღაც მონუმენტი ანაკლიაში, ალბად სხვა რაღაცეებიც.

ბოლოს და ბოლოს ექსპრეზიდენტს თვალები აეხილა: „კარგი რაც მოხდა, გამოჩნდა ძალიან ბევრი მაგარი ქართველი არქიტექტორი, ადრე თუ უცხოეთიდან მოგვყავდა, ეხლა უკვე ქართველებმა ისწავლეს ძალიან მაგარი პროექტების შექმნა... ათი საუკუნე არაფერი კარგი სვანეთში არ აშენებულა და ახლა დაიწყო“.

ჩემთვის უცნობია სხვა უცხოელი არქიტექტორების ექსპრეზიდენტ სააკაშვილის თვალსაწიერში მოხვედრის დეტალები, მაგრამ ცხადია აქაც „შემთხვევითობა“ ჭარბობს ვინემ ლოგიკა და მოტივაცია, ვინაიდან არცერთ მათგანს, გარდა მაქსიმილიანო ფუქსასისა, საერთაშორისო არქიტექტურული საზოგადოება არ იცნობს, არც ერთი მათგანს კონკურსში არ გაუმარჯვია, არც ერთი მათგანი არ მოუწვევიათ პროფესიული საზოგადოების რეკომენდაციით. ისინი საკუთარ ქვეყნებშიც კი არ არიან „შემჩნეულნი“. კიდევ მეტი, ზოგიერთი მათგანი არცაა არქიტექტორი. მიქელე დე ლუკი საყოფაცხოვრებო ნივთების დიზაინერია, ხოლო საქართველოს პარლამენტის /ქუთაისის/ შენობის სამ ავტორთან, ორი - ალბერტო და კარლოს ლაზარო - სამოქალაქო ინჟინრები არიან.

## ბათუმი – არქიტექტურული ექსპერიმენტების პოლიგონი

ძნელად თუ მოიძებნება მეორე ქალაქი სადაც ხელისუფალის გავლენა არქიტექტურულ პროცესზე ისეთი განუსაზღვრელი ყოფილიყო, როგორც ამას ადგილი ქონდა ბათუმში. აქ გამჟღავნდა ექსპრეზიდენტის არქიტექტურული და ესთეტიკური „იდეალები“. ეს „იდეალები“ უპირატესად ნანახის, მოგზაურობათა შთაბეჭდილების საკუთარი რეპრეზენტა-


ბილბაოს მუზეუმი


პომპიდუს ცენტრი


ევროპის მოედანი, ბათუმი

ციაა ბათუმში. აქ ყველაფერია – შუშიზმი, ეკლექტიკა, ისტორიზმი, მეორადობა, კოპირება, ინტერპრეტაციები ხალხურ – ეთნოგრაფიულ თემებზე, კიჩი ... აქ კარგად სჩანს არა მხოლოდ დამკვეთის ნება, არამედ „შემსრულებელთა“ /არქიტექტორთა/ საავტორო პასუხისმგებლობის დაქვეითება, რამაც ისინი მორჩილ შემსრულებლებად აქცია, რაც დროის ნიშანია და პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან.

ჩემი მიზანი არ არის ავტორიტარიზმის პერიოდის ყველა ქალაქმშენებლობითი, სარეაბილიტაციო თუ მეტნაკლებად მნიშვნელოვანი შენობის ყოველმხრივი პროფესიული ანალიზი, ეს მრავალპლანიანი თემაა, ამას დიდი კოლექტივის შრომა ჭირდება. ეს შესაძლებელი იქნება მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრის ბაზაზე, დღეს ქვეყანაში არსებული სამეცნიერო პროფესიული პოტენციალის გაერთიანებით. ჩემი მიზანი მოკრძალებულია, ავტორიტარიზმის პერიოდის არქიტექტურულ ტენდენციებში გარკვევა და მათი გამომწვევი იმპულსების დადგენაა.

ბათუმის რეალობიდან გამოვყოფ რამდენიმე მნიშვნელოვან არქიტექტურულ ფაქტს. ბულვარის რამდენიმე კილომეტრით გაზრდა და კეთილმოწყობა გონივრული, მასშტაბური ურბანული აქციაა, Piazza არაორდინალური, უპრეცენდენტო მოვლენაა არა მხოლოდ ქართულ არქიტექტურულ სივრცეში. ამ საკითხზე ჩემს მოსაზრებას ქვემოთ მოგახსენებთ. ევროპის მოედნის რეაბილიტაცია, ახალი „ჩანართებით“ პროფესიულადაა შესრულებული, ხოლო დასავლეთი მხარის ხაზობრივი მოშენების რეკონსტრუქცია – რეაბილიტაცია ერთერთი საუკეთესოა ქართულ სინამდვილეში. აქ შენარჩუნებულია ბათუმური მასშტაბი, და ატმასფერო, დახვეწილია დეტალები, ფრაგმენტები. ბათუმში მრავლადაა ალოგიზმი და სიჭრელე. ის, უპირველესად ყოვლისა, ეხება ახალ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, რომლებიც თავშეუკავებელი დეკორატიულობით, სხვადასხვა სტილური ინტონაციებით, ხელოვნური დაძველებით, ამოვარდნილია დროის ესთეტიკური ღირებულებებიდან.

ექსტრაორდინალური ფაქტია იაპონელი არქიტექტორის იამაშიტას კიოტოში აშენებული „სახე-სახლის“ ქართული პერეფრაზი ბათუმში. ის შესაფერისი იქნებოდა ბავშთა პარკში, როგორც ნორჩების თვითშემოქმედების სახლი. ეს არქიტექტურული ინსტალაცია საცირკო-იუმორისტული ჟანრი უფროა, ვიდრე არქიტეტურული. იამაშიტას „სახე-სახლი“ რომელიც სამი ელემენტის – თვალების, ცხვირის, ტუჩისაგან შესდგება, ბათუმში გამრავალფეროვნებულია განიავების გიგანტური მილით, ფრონტონებით, სვეტებით, თაღებით, ბალიასინებით. სულაც არ გამიკვირდება ბათუმური „სახე-სახლი“ ტურისტულ მარშრუტში რომ მოხვდეს და ათასობით ფოტო-კადრი მსოფლიოს მოედოს. რაც შეეხება მის მეორადობას ამას მხოლოდ არქიტეტორთა ზოგიერთი კატეგორია თუ შეამჩნევს.

კულტუროლოგიური თვალსაზრისით სრული ნონსენსია მე 16 საუკუნეში ქალაქ ბოლონიაში არქიტექტორ ტომასო ლაურეტის პროექტით აშენებული ნეპტუნის ფანტანის ასლის აგება ბათუმში.


Piazza. ბათუმი

## Piazza. არქიტექტორი ვ. ორბელაძე

Piazza-ს იდეა ჩადებული იყო ბათუმის ცენტრალური ნაწილის და ზღვისპირა პარკის რეკონსტრუქციის კონკურსის გამარჯვებულ პროექტში /ავტორები: გ.გეგელია, მ.გუგუნავა, რ. ბერიძე, ბ, ჩიგოგიძე. 1996 წ./ საკონკურსო პროექტში Piazza, სან–მარკოს მოედნის მსგავსად, ერთი მხრით გახსნილი იყო ზღვისკენ, რომლის ცენტრში აღმართული იყო 65 მეტრის სიმაღლის კოშკი. რეალური Piazza აშენდა ქალაქის ისტორიულ ნაწილში, ფარნავაზ მეფის და მაზმიაშვილის ქუჩებს შორის /არქიტექტორი ვ. ორბელაძე/

Piazza განზოგადოებული რენესანსია და არა კოპირება რომელიმე ანალოგისა. ინტიმური სივრცეები, კამარები, დახვეწილი დეტალები და ფრაგმენტები, ელეგანტური კოშკი, მანსარდები, ქანდაკებები, აუზი, განაპირობებენ რენესანსულ ატმოსფეროს და სულიერ სიმშვიდეს. Piazza შთამბეჭდავი არქიტექტურული ორგანიზმია. მას აქვს მიზიდულობის უდიდესი ძალა.

მაგრამ, როდესაც Piazza-ს აფასებ არქიტექტურის ისტორიის, ზოგადი კულტურის კონტექსტში, როდესაც იცი, ეს არქიტექტურა, განწყობა, ატმოსფერო უკვე იყო 4-5 საუკუნის წინათ, რომ ეს რეტროა, სხვისია, რომ ეს იტალიური მაღალი აღორძინების – ჩინკვეჩენტოს კუთვნილებაა, მას ეკარგება კულტუროლოგიური ღირებულება. იტალიურმა რენესანსმა ხუთი საუკუნის შემდეგ ჩამოაღწია საქართველოში. მოვლენის არსი უფრო გასაგები რომ იყოს, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ XXI საუკუნის არქიტექტურის განვითარება გვაი-


"სახე-სახლი" ბათუმში


იამაშიტას "სახე-სახლი" კიოტოში

ძულონ ანალოგიური პრინციპით. შემოქმედებითი აზრი გაიყინება და დაბრუნდება საუკუნეებით უკან. არქიტექტურის, საერთოდ ხელოვნების, განვითარების ერთადერთი სწორი გზაა შექმნა დროის შესაბამისი ხელოვნება - არც წარსულის, არც მომავლის.

## „ბათუმი ტაუერი“ არქიტექტორი დ.გოგიჩაიშვილი

„ტაუერი“ უნიკალური შემთხვევაა. „საუკუნის პროექტად“ სახელდებული შენობის, რაზეც უკვე დაიხარჯა 78 მილიონი ლარი,ფუნქცია დღემდე არ არის გარკვეული. ექსპრეზიდენტი სააკაშვილი, მას ტექნოლოგიურ უნივერსიტეტად მოიაზრებდა. მაგრამ მისი ადგილმდებარეობა, ტერიტორიის შეზღუდულობა, შენობის მოცულობით-სივრცული ხასიათი (წერტილოვანი მაღლივი შენობა), გამორიცხავს მის ვარგისიანობას უნივერსიტეტად. საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესის ტექნოლოგია ჰორიზონტალურ კავშირებზეა აწყობილი. მსოფლიოში არ არსებობს უნივერსიტეტი, რომელიც ცათამბჯენში იყოს ჩატენილი, თუ არ ჩავთვლით რაიმე ექსტრაორდინალურ შემთხვევას. არის მცდელობა შენობის მორგებისა სასტუმროდ, ოფისებად, და სხვა. მარჩიელობა გრძელდება. „ბათუმი ტაუერი“ უგუნურობის და უყაირათობის, აბსურდის კლასიკური მაგალითია. რაც შეეხება შენობის მხატვრულ სახეს მისი მთავარი ინოვაცია და ექსპრეზიდენტის სიამაყეა – „ეშმაკის ბორბალი“ XXV სართულზე. ამავე სართულზე, თურმე, მოეწყობა სტუდენტური კაფე: “სტუდენტები აიღებენ ბუტერბროტებს, ჩამოჯდებიან, იტრიალებენ, მიირთმევენ ბუტერბროტს, თან ისწავლიან. აქ იქნება ბევრი ახალგაზრდა, შეიყვარებენ სტუდენტები ერთმანეთს“ – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. ძნელი წარმოსადგენია, შენობის XXV სართულის ფასადზე გადმოკიდებულ „ეშმაკის ბორბალზე“, როგორ ისწავლიან და როგორ შეიყვარებენ ერთმანეთს სტუდენტები. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ „ეშმაკის ბორბალი“ შენობის XXV სართულზე არის ყველაზე ინფანტილური, გულუბრყვილო იდეა, რაც კი გამიგონია და მინახია ჩემი 60 წლიან არქიტექტურულ პრაქტიკაში.

“ბათუმი ტაუერი“ არ არის გამონაკლისი უმიზნოდ გადაყრილი მილიონებისა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე რკინიგზის მიყვანა და რკნიგზის სადგურის მშენებლობა იმპულსური პიარ-ავანტიურა იყო, რომელიც ქვეყანას 17 მილიონი ლარი დაუჯდა. ამჟამად რკინიგზაც და სადგურის შენობაც მკვდარი კაპიტალია. დღეს ისინი ემსახურებიან მხოლოდ ორ რეისს, დილის $8^{00}$ და $17^{20}$ საათზე. განსაკუთრებული „მძიმე დანაშაულის“ კატეგორიას განეკუთვნებიან ობიექტები, რომლებიც უფუნქციობასთან ერთად არღვევენ ისტორიულ ურბანულ გარემოს. ამის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია საცალფეხო „მშვიდობის ხიდი“ რიყეზე, რომელიც 13 მილიონი დოლარი დაჯდა, რომელიც პრაქტიკულად უფუნქციოა, ვინაიდან არც ერთი ნაპირიდან ნაკადები არ არის და არც იქნება ანუ ხიდი არაფერს არაფერთან აკავშირებს. არა ვარ დარწმუნებული, რომ ამ „მძიმე დანაშაულის“ კატეგორიაში არ მოხვდება რიყეზე მშენებარე საკონცერტო – საგამოფენო დარბაზი, რომელმაც მძლავრი დისონანსი შეიტანა ისტორიულ ურბანულ სისტემაში. მათ შეექმნებათ სერიოზული საექსპლოატაციო პრობლემები, სრულიად მოუხერხებელი სატრანსპორტო სი-


"ბათუმი ტაუერი"


ტომასო ლაურეტის ნეპტუნის ფანტანი


ნეპტუნის ფანტანის ასლი ბათუმში



საგამოფენო დარბაზი რიყეზე



თბილისის პროკურატურა დიღომში

ტუაციის და ფუნქციის, მისთვის შეუსაბამო ფორმაში „ჩატენვის“ გამო. სწორედ ეს ობიექტები და უმისამართო მემორიალები ჰქონდა მხედველობაში ბატონ რიჩარდ მაილსს, ამერიკის ყოფილ ელჩს საქართველოში, რომელმაც აღნიშნა: “სააკაშვილი აშენებდა პროექტებს, რომლებსაც ეკონომიკური დანიშნულება არ ჰქონდათ, თუმცა ქვეყანას ეს შენობები დიდძალი ფული უჯდებოდაო“.

## ცალკეული შენობები

***იუსტიციის სახლი გურჯაანში. არქ. ი. შარაშენიძე. 2012.***

შენობის ლექსიკა დიზაინერულია. მოცულობა თითქოს თლილი “ჩაის ჭიქებისაგანაა” აწყობილი. ამის შეგრძნებას აძლიერებს შენობის აქსიომატური არქიტექტურული ნიშნების, ელემენტების, დეტალების, ფრაგმენტების იგნორირება. შენობა შეიძლება გადმოვაბრუნოთ და ამით არაფერი შეიცვლება. მას არც თავი აქვს, არც ბოლო, არც იწყება და არც მთავრდება. არაადექვატურია შესასვლელი, მას არა აქვს საზოგადოებრივი შენობისათვის აუცილებელი ფსიქო-ემოციური დატვირთვა – ღიაობა, მიპატიჟება, ზეიმურობა.



იუსტიციის სახლი გურჯაანში

***თბილისის პროკურატურა დიღომში. არქ. ნ. ჯაფარიძე, გ.საყვარელიძე, დ. ქიტიაშვილი. 2011.***

ავტორებმა კარგად იციან თანამედროვე არქიტექტურული ტენდენციები, არათუ იციან, არამედ ერთგულებენ მათ. შეიძლება შეედაო მათ მხატვრულ პოზიციას, გლობალიზაციის უკრიტიკო მიღებას, მაგრამ სახეზეა პროფესული კულტურა, ტაქტი. წარმატებულია მინის მოცულობათა “თამაში” მთავარ ფასადზე (გზატკეცილის მხარე), მეტყველია სიცარიელეები, საინტერესო სივრცული კოლიზიებია ინტერიერში, მაგრამ იქაც სიცივე მეფობს. შენობა სამივე მხრიდან ფაქტობრივად ყრუ კედლებშია მოქცეული, რაც აძლიერებს უარყოფით ფსიქო-ემოციურ ატმოსფეროს. დასამალი არ არის, რომ “პროკურატურა” ადამიანებში არც თუ სასიამოვნო ემოციებს იწვევს. ასეა ეს მთელ მსოფლიოში. როგორც წესი, აქ ჯილდოებისთვის არ იწვევენ ადამიანებს. ამიტომაც მის მიმართ ადამიანებს აპრიორი აქვთ შიშის და უსიამოვნების განცდა. არქიტექტურას აქვს შესაძლებლობა ადამიანებს შეუმსუბუქოს ეს უარყოფითი შეგრძნებები შენობის გახსნილობით, ღიაობით, გამჭვირვალობით, ფერით. ამ შემთხვევაში არქიტექტურა არა თუ არბილებს შიშის და ძრწოლის განცდას, არამედ ყოველმხრივ, განსაკუთრებით მინის შავი ფერით, ამძაფრებს მას. სასურველი იყო შენობის სხვა, უფრო დემოკრატიულ ფსიქო-ემოციურ შეგრძნებებზე აწყობა. შენობა იწვევს გარკვეულ ასოციაციას ვანკუვერის /კანადა/ ფარმაკოლოგიური მეცნიერების ფაკულტეტის შენობასთან რაც ამცირებს მის კულტუროლოგიურ ღირებულებას.

***გავაზის სკოლა 600 მოსწავლეზე სოფ.გავაზში. არქიტექტორი ვ. დავითაია. 2011***

სკოლის არქიტეტქტურა ერთ–ერთი განმსაზღვრელია მოზარდის პიროვნებად და მისი მოქალაქეობრივი მრწამსის ჩამოყალიბებაში. სკოლის შენობის სივრცობრივი წყობა, ფასადის გახსნილობა – მიმღებიანობა, ინტერიერის ერთიანი სივრცე და კოლორისტიკა განაპირობებენ ამაღლებულ განწყობილების და ღირსების შეგრძნებას. ესაა შენობა კორიდორების გარეშე, გაერთიანებულია ყველა საკომუნიკაცია და სარეკრეაციო ფართი. ობიექტი 2012 წელს არქიტექტურის მსოფლიო ტრიენალის – „ინტერარქი 2012“-ის ვერცხლის მე-


გავაზის სკოლა 600 მოსწავლეზე


"სოკარის" სათაო ოფისი

დლის და ბულგარეთში იაპონიის საელჩოს სპეციალური ჯილდოთი აღინიშნა.

***საქართველოს ბანკის სათაო ოფისის ვესტიბიული "მინის კუბი". 2011. (ყოფილი გზათა სამინისტროს შენობა) კომპანია "არქიტექტურული ჯგუფი და პარტნიორები"***

არქიტექტორების გიორგი ჩახავასა და ზურაბ ჯალაღანიას გზათა სამინისტროს შენობა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი არქიტექტურული სახე იყო. მისი არქიტექტურულ-სივრცობრივი წყობა გამორიცხავს გაფართოებას მიშენებას, დაშენებას. მასში ახლის შეტანა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მცირე ზომის ცალკე მდგომი მინის კუბი, რომელიც მიწისქვეშა ვესტიბიულის ხუფის ფუნქციას ასრულებს, მხატვრულად მძაფრი, ზუსტი სვლაა. ის დამოუკიდებელი, თავისთავადი აღმონაცენია, სხვა მცენარეა ამ შენობის სიახლოვეს. მოკრძალებული ზომების, მინის მშვიდი კუბი, ხაზს უსვამს არსებული შენობის მნიშვნელობას. ავტორების მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტა არსებულისადმი თავაზიანობის კარგი მაგალითია.

არის რაღაც საერთო მიდგომაში ლუვრის პირამიდასა და თბილისის კუბს შორის. ორივე მიწისქვეშა ვესტიბიულის "ხუფია", ორივე მინისაა, ერთი პირამიდაა, მეორე კუბი, ორივე დიდ ტაქტს ავლენს არსებულის მიმართ.

***„სოკარის" სათაო ოფისი თბილისში. არქიტექტორები: ვასილ, გივი და გიორგი ქობულიები. 2012.***

ადგილი მშენებლობისათვის არც თუ ხელსაყრელია. ეს კარგიც არის და ცუდიც. ცუდი იმდენად, რამდენადაც რთულია რაციონალური ფუნქციურ-ტექნოლოგიური კავშირების "აწყობა". კარგია, რამდენადაც ადგილის სფეციფიკა გზას უხსნის სივრცულ-კომპოზიციურ მოულოდნელობებს. ეს სირთულეები ავტორებმა დაძლიეს და შექმნეს საინტერესო, პოლიფონიური შენობა. მოცულობა "ჩაწერილია" გარემოში. მაღალია სამშენებლო ხარისხი.

***საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრი თბილისში „სტუდია არსი" . არქიტექტორები თ. კვანტალიანი. რ.ხატაშვილი, ქ.ჭანტურია,2012.***


საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრი

ობიექტი ტიპოლოგიურად არატრადიციულია, რასაც ავტორები წარმატებით იყენებენ და ქმნიან არაორდინალურ არქიტექტურას. ფასადების "მოქარგვა" წრიული ხვრელებით საინტერესო თემაა. შენობის ქიმის ირიბად წაკვეთა და მისი კონსოლურად "გადმოკიდება" წყლის სარკეზე, შთამბეჭდავია. შენობა თავდაჯერებულია, არის მასში რაღაც მემორიალური. ექსტერიერისგან პრინციპულად განსხვავებულია შიდა სივრცე – ატრიუმი. საინტერესოა ინტერიერი, ავტორები ეძებენ განწყობას და აღწევენ სასურველ შედეგს. შენობას, ალბათ, უკეთესად წარმოაჩენდა თუნდაც ერთი მეტრით მაღლა აწევა. შენობა იწვევს გარკვეულ ასოციაციებს "Museo Blaw"-სთან (დანია) და ქ. ბარსელონას „**CPH Arena**"-სთან, რაც ამცირებს მის კულტუროლოგიურ ღირებულებას.


საქართველოს ბანკის სათაო ოფისის ვესტიბიულის "მინის კუბი"



# სახელოვნებო ინდუსტრია "არტპალასი"



**მონაცემები**

პროექტი - ოფისის შენობა

ადგილმდებარეობა - გ. სააკაძის II შესახვევი, ვახუშტის ხიდთან, თბილისი, საქართველო.

ფართობი - 3614 კვ.მ.

**ავტორები**

პროექტის ავტორი - არქიტექტორი, დიმიტრი მოსულიშვილი

თანაავტორი - არქიტექტორი, გიორგი ქურციკიძე

პრ. მთ. კონსტრუქტორი - მალხაზ საველიძე

კონსტრუქტორი - მათე საჯაია

ინტერიერის დიზაინი - თამაზ კვირიკაშვილი

საპროექტო სამუშაოები - შ.პ.ს. "სტილი"; შ.პ.ს. "მონოლითი"

საინჟინრო კომუნიკაციები - "დლჯ ჯგუფი" DLG Group

ფოტოები - "არტპალასის" სტუდია

უახლესი ტექნიკურ-მატერიალური ბაზით აღჭურვილი ათსართულიანი შენობის მოცულობა ხელოვნების ინდუსტრიის დინამიურობას გამოხატავს. იგი ფორმით და მასალით ურთიერთკონტრასტულია. ფასადზე ხისტი ხაზები და დინამიური ფორმები დაპირისპირებული და მრავალფაცეტიანია, ისევე, როგორც, დღეს სხვადასხვა მიმართულებები სახელოვნებო ინდუსტრიაში. შენობის ქვაში ჩასმული ძირითადი მასა, თითქოს, ხელოვნების სრულყოფილებისკენ სწრაფვას გამოხატავს. მისი შემინული სიბრტყეები კი – სახელოვნებო ინდუსტრიის საზოგადოებასთან ერთიანობას.

2014 წლის 12 ოქტომბერს, სახელოვნებო ინდუსტრია „არტპალასის" ოფიციალური პრეზენტაცია გაიმართა. კომპანია „არტპალასის" გახსნაზე დასასწრებად საქართველოში საგანგებოდ ჩამოვიდა მსოფლიო ვარსკვლავი, „გრემის" მფლობელი ამერიკელი მესაყვირე, კრის ბოტი. მან კომპანიის პრეზიდენტ გია ანდღულაძესთან, პაატა ბურჭულაძესა და ნიკოლოზ რაჭველთან ერთად საზეიმოდ გახსნა „არტპალასის"შენობა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ თბილისის ვიცე მერი ალექსანდრე მარგიშვილი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები.

სახელოვნებო ინდუსტრია „არტპალასის" აერთიანებს 7 მიმართულებას: სარეკლამო სააგენტო, ივენთჯგუფი, ხმის ჩამწერი სტუდია, ფროდაქშენი, ტურისტული სააგენტო, სახელოვნებო კოლეჯი, არტკაფე.

საქართველოში ეს პირველი ცდაა, შეიქმნას ევროპული სტანდარტების შესაბამისი სახელოვნებო მომსახურების ცენტრი.







„არტპალასის“ მიზანია საქართველოს კულტურული ცხოვრების ახლებური განვითარება, შემოქმედებით თაობათა ურთიერთკავშირი, ხელოვნებისა და ბიზნესის ინტერესთა ჰარმონიზაცია და საერთაშორისო ბაზარზე ადგილის მოპოვება, რაც გულისხმობს:

❍ საერთაშორისო პროექტებში აქტიურ მონაწილეობას;

❍ მსოფლიოში აღიარებული სახელოვნებო საგანმანათლებლო სისტემის დანერგვას, ასევე -განათების მხატვართა, ხმის რეჟისორთა, წამყვანთა და სხვა კვალიფიციური კადრების მომზადებას;

❍ ქვეყნის საუკეთესო შემოქმედებითი ძალების კონცენტრირებას;

❍ ახალგაზრდა თაობისათვის შემოქმედებითი ცენტრის შექმნას.







# Art industry "ArtPalace"



*Fact Sheet*
*Project - Office Building*
*Location - G. Saakadze II lane, near Vakhushtis Bridge, Tbilisi, Georgia*
*Building Area - 3614 m²*
*Authors:*
*Project author - Architect Dimitri Mosulishvili*
*Co-author - Architect Giorgi Kurtsikidze*
*Constructor - Malkhaz Savelidze, Mate Sajaia*
*Interior Design - Designer Tamaz Kvirikashvili*
*Structural Engineers - Style Ltd; Monoliti Ltd*
*Communication Engineers - DLG Group*
*Photos - "Art Palace studio"*

**The capacity of Building expresses the dynamism of the art industry. He is contrasting shapes and materials. On the façade the rigid lines and dynamic forms are opposing And diverse, as well as the different directions of the art industry.**

**Inserted into the main mass of the building is made of stone and Expresses the aspiration of art , The glass panel of Artpalace expresses aspirations the public in the arts industry.**

October 12 in Tbilisi there will be held official presentation of art industry "Art Palace". In the company there are united 7 business directions: advertising agency, event group, sound recording studio, production, touristic agency, Art College, art café, reports GHN. For the center there was built two storey building equipped with technical-material bases. This is first attempt in Georgia to create art service center with European standards. On the opening ceremony in Georgia will arrive world star, Grammy winner American trumpeter Chris Bott. He together with the President of the company Gia Andguladze, Paata Burchuladze and Nikoloz Rachveli will open the building of "Art Palace."

Tbilisi Vice Mayor Alexander Margishvili, Georgian Defense Minister Irakli Alasania, Georgian Foreign Minister Maia Panjikidze, prominent figures in the arts and culture.

The aim of "Art Palace" is to develop cultural life of Georgia, inter relation between creative generations, to create harmonization between art and business interests and to find own place on international market, it means:

- Active participation in international projects
- Implementing of art educational system that is recognized worldwide, also training of painters, sound directors and other qualified staff;
- Concentration of best artistic forces of the country;
- Creating artistic center for young people.







# მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ადგილმდებარეობა:
თბილისი თამარაშვილის ქ. N13
საავტორო ჯგუფი:
დავით მახარობლიშვილი,
ნაზიბროლა ჯოშაძე,
თინათინ ჯოშაძე,
გიორგი ბერიაშვილი,
თორნიკე ყიფშიძე,
მარიამ სუპატაშვილი

საავტორო ჯგუფის ძირითად ამოცანას პროექტირებისას წარმოადგენდა არსებული ხე-ნარგავების მაქსიმალური შენარჩუნება. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელი გახდა შენობის გეგმაში ორი კურდონერის შექმნის წყალობით. ასეთმა მიდგომამ საშუალება მისცა ავტორებს ერთ კიბის უჯრედზე დაეპროექტებინათ ხუთი ბინა გამჭოლი ან კუთხური განიავებით და გადაერჩინათ ექვსი 50-60-წლიანი ხე.

წარმოდგენილი საცხოვრებელზე მუშაობისას, იდეა ემოციური მდგომარეობის ცვალებადობის გამოხატულებად ჩამოყალიბდა. მისი მოცულობა თანამედროვეა. თავისუფალ ფორმაში, არქიტექტურული დეკორის ყოველი ნიუანსი მნიშვნელოვან დატვირთვას იღებს. ეკოლოგიური მასალის ტექნოლოგიურ ელემენტებთან შერწყმა, ეფექტური და გამომხატველობითია. ერთიანი მოცულობა სასიამოვნოდ განგვაწყობს. არქიტექტურა კლასიკური დეკორის მოტივებით და პლასტიკური გადაწყვეტებითაა მიღწეული.

სწორედ მიგნებული ინტონაციების ფონზე იგი მაქსიმალურად სრულყოფილი, დასამახსოვრებელი სახით წარმოჩინდება.

ნინო ლაღიძე









# A Residential Complex

*Location: 13,Tamarashvili street, Tbilisi*
*Authors: David Makharoblishvili, Nazibrola Koshadze, Giorgi Beriashvili, Tornike Kipshidze, Mariam Supatashvili*

Main accomplishment of the project is its close connection with the surrounding space, the immediate environment.

The construction is very compact with main architectonic groups ingeniously connected with each other.Volume of the building, composed of diverse geometric forms, develops dynamically and flexibly.

Constructional lightness of larger masses is reiterated by minor decorative compositions and classic accessories. The house breathes in unison with its surroundings, offering its inhabitants a comfortable living environment as well as the exciting beat of city life.

NINO LAGHIDZE







# ბრუტალური რომანტიზმი



საცხოვრებელი ბინა: 230 კვ.მ.
4 საძინებელი,
2 სველი წერტილი,
მისაღები,
სამზარეულო.

ავტორი: ვიქტორია იაკუშა
ადგილმდებარეობა: უკრაინა

წარმოდგენილი ობიექტის ინტერიერული გარემოს თავისუფალი სივრცე ინდივიდუალურია და განსაზღვული ფუნქცია გააჩნია. წინა პლანზე წამოწეული გამომხატველობითი არქიტექტურული ფიგურის კონცეპცია ესთეტიკურ ილუზიებთან ერთად უფრო ღრმა, დამოუკიდებელ აზრს და მნიშვნელობას მოიცავს.

ინტერიერის მიკროგარემო სხვადასხვა ემოციური დატვირთვით აღიქმება, კონკრეტულ მიზანს ექვემდებარება, მაგრამ ამავე დროს სივრცის საერთო წყობასთანაა შეთავსებული. ესთეტიკური, ნატიფი ფორმის მნიშვნელობა მის რეალურობაშია განხორციელებული.

დახვეწილმა სტილმა და გემოვნებამ სრულიად განსაზღვრა ინტერიერის სტილისტური მთლიანობა და ,,ბრუტალური რომანტიზმის,, ცხოვრების წესთან შესაბამისობა.

ნინო ლაღიძე















# Brutal romanticism



*The apartment is 230 square meters*
*4 bedrooms, 2 bathrooms, living room, kitchen*
*Author: Victoriya Yakusha*
*Location: Ukraine*

The residential interior is a free-flowing space with distinct individuality and a precisely defined function. Simplicity, uninhibited planning and dynamism. The conception of expressive architectural image, forming the foreground of the design, is strengthened by aesthetic associations and deep connotations. The interior consists of independent volumes bearing different emotional charges depending on their functional specifics but efficiently merging into the general structure of the space. The importance of aesthetically valuable, refined forms is accentuated by the quality of their implementation. Highly professional and tasteful design style gave successful finishing touches to the interior of Brutal Romanticism and integrated it into the surrounding life.

NINO LAGHIDZE





# დამზადებულია უკრაინაში Made in Ukraine



მეტნაკლებად ეფექტური შემოქმედებით ადამიანებს, თავიანთი ცხოვრებისეული პოზიციის და დამოკიდებულებების გამოხატვა, საკუთარი ტალანტის რეალიზაციით შეუძლიათ. დიზაინერმა და არქიტექტორმა ვიქტორია იაკუშამ შექმნა ექსკლუზიური ავეჯის კოლექცია, უკრაინული აქცენტით. ამ "ქმედების" მთავარი მისია უკრაინისთვის მხარდაჭერა და უკრაინის კულტურის პოპულარიზაციაა, არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ მის ფარგლებს გარეთ – Made in Ukraine-ს ხელშესაწყობად.

ამჯერად წარმოგიდგენთ კოლექციის ერთ-ერთ "კომპონენტს" – სკამს . ეს სკამი შესრულებულია, არა მხოლოდ "ეკომინიმალისტურ" სტილში, არამედ, სავსებით შეესაბამება მას. ნაკეთობის შესაქმნელად გამოყენებული იქნა ეკოლოგიურად სუფთა მასალა – 100%-იანი შალი და ბუნებრივი ინგრედიენტებით მიღებული სპეციალური საფარით დამუშავებული ნატურალური ხე.

უკრაინა დამოუკიდებელი ქვეყანაა. ის არ უნდა ეძიებდეს სიახლეებს ევროპასა და რუსეთში. უკრაინა – თავად ძალაა. ეს არის ქვეყანა, რომელსაც შეუძლია, არა მხოლოდ სურდეს და შეიძინოს, არამედ შექმნას ლამაზი და პრაქტიკული ნაკეთობები.



**The most efficient way for artists to express their position and attitude is through realization of their talent. Designer architect Victoria Yakusha released a collection of furniture with Ukrainian accents. The mission of her action was to support Ukraine and to raise awareness about Ukrainian culture at the national and international levels by promoting Made in Ukraine concept.**

**One article from this collection was publicly presented today: this chair is a perfect example of eco-minimalism style. It is made of environment friendly materials: 100% pure wool, natural wood, special organic varnish.**

**Ukraine is a self-sufficient country, which should not look up to Europe or Russia - this country is not only capable of craving and buying, but can also realize things of beauty and practical value.**



# დიზაინერული ნიუანსები

თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე სტუდიოს ტიპის საცხოვრებელი სივრცის თანამედროვე გარემო განსაკუთრებული, გამომხატველობით გამოირჩევა და არაორდინალურად ტრანსფორმირდება რეალობაში. მისი ინტერიერი დიზაინერის, ელენე სხვიტარიძის პროექტით განხორციელდა.



დახვეწილი არქიტექტონიკა, ექსკლუზიური ფურნიტურითა და ფრაგმენტებით შექმნილი ცალკეული მონაკვეთი განსაკუთრებულად მომხიბვლელია. აქ, ყოველივე მრავალმხრივია და მოაზრებულ, კონკრეტულ მატერიადაა გარდაქმნილი. დეტალები, დიზაინში მთლიანობის გამომხატველობითი ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. საინტერესო მოცულობითი ბარიერებით შექმნილი მსუბუქი ერთიანობის ფერითი გამის გამჭვირვალება დეკორატიული აქსესუარების ტონებითაა აქცენტირებული.

საცხოვრებელში კომფორტული გარემოა შექმნილი.

ნინო ლალიძე



# Designer fashion and nuances



Residential space in its present-day interpretation is not just a comfortable interior, but rather an indi-vidual entity, featuring a unique atmosphere and merging with the outside world according to its own principles.

The project of studio type apartment (Vaja-Pshavela ave., Tbilisi), has been created by Elene Skhvitaridze. Its refined interior design, decorated with exclusive furniture and accessories, have a special charm.originality and expressivity of design elements integrate the space, in which architectonics and general color palette is highlighted by contrasting tones of furniture and ornaments to form a perfect setting for comfortable life.

NINO LAGHIDZE







ვერნისაჟი

VERNISAGE

# მიშა იაშვილი Misha Iashvili






2014 წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში მხატვარ მიშა იაშვილის (1954-2012) ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა.

მიშა იაშვილი მე-20 საუკუნის ქართველ 80-იანელთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფერმწერი და გრაფიკოსი იყო. მას მონაწილეობა ჰქონდა მიღებული მრავალ პერსონალურ და ჯგუფურ გამოფენაში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ავტორის ნამუშევრები დაცულია ხელოვნების მუზეუმსა და სხვადასხვა გალერეებში და აგრეთვე არაერთი ქვეყნის მრავალრიცხოვან კერძო კოლექციებში. იგი გახლდათ სამხატვრო აკადემიის კინო-ტელე ფაკულტეტის პროფესორი.

გამოფენა მიეძღვნა მხატვრის 60 წლის იუბილეს. დამთვალიერებელმა იხილა მისი 40-ზე მეტი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი.

გამოფენაზე შედგა მიშა იაშვილის ნამუშევრების კატალოგის პრეზენტაცია.

ექსპოზიცია გაიმართა საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ორგანიზაციის ,,ბავშვი და გარემო“ ორგანიზებით. გამოფენის მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

გამოფენა გაგრძელდა 2014 წლის 30 ოქტომბრამდე.

On October 17th 2014,Georgian National Museum Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts opened at the Misha Iashvili's personal Exhibition.

Misha Iashvili is a representative of the Georgian artists' generation of 80s of the last century. He participated in numerous solo and group exhibitions in Georgia and abroad. Author's works are protected in Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts, in different galleries and private collections across the Georgia and other countries. Misha Iashvili was professor of the faculty of cinematography at the Tbilisi State Academy of Arts.

The Exhibition is dedicated to the 60th anniversary of the author.

At the exhibition was presented up to 40 graphic works and paintings.

At the exhibition took place presentation of the catalog of Misha Iashvilis works.

Exposition was made possible in the framework of the collaboration between Georgian National Museum, organization "Child and Environment" and Ministry of Culture and Monuments Protection of Georgia.

The exhibition continues until October 30th, 2014.















106.9 FM
106,9 FM
FORTUNA
სარეკლამო
















არქიტექტურის მესამე საერთაშორისო ფესტივალი

**Third International Architectural Festival**